თბილისის „ღამის ეკონომიკის“ კვლევა

საკონსულტაციო მომსახურების შემოთავაზება

სექტემბერი 2018 წელი

EY
Building a better working world

EY Georgia LLC
Kote Abkhazi 44, 0105 Tbilisi, Georgia
Office: +995 32 215 88 11
Website: http://www.ey.com

ქალაქ თბილისის მერია

სექტემბერი 2018 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურს

კომპანია EY მადლობას გიხდით საშუალებისათვის წარმოგვეჩინა ჩვენი შემოთავაზება და გამოცდილება თბილისის "ღამის ეკონომიკის" კვლევის, ამჟამინდელ მდგომარეობასთან დაკავშირებული გრძელვადიანი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

კომპანია EY-ს აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება კვლევების სფეროში სხვადასხვა სექტორებში, ტექნიკურ-ეკონომიკური და სტრატეგიული მოდელების შემუშავებაში, ბიზნეს გეგმების და განვითარების სტრატეგიის მომზადებაში და სხვა საკონსულტაციო სერვისებში.

მოცემულ დოკუმენტში ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ჩვენი ხედვა თქვენს საჭიროებებზე და სამუშაოს მოცულობაზე, ასევე მიდგომები და მეთოდები, ისევე როგორც შესრულების ფასები და ვადები.

ჩვენ მზად ვართ ვუპასუხოთ თქვენს ნებისმიერ შეკითხვას და კომენტარს. საჭიროების შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ მოცემულ სატელეფონო ნომრებზე.

ზვიად მემარნიშვილი,
დირექტორი
ფინანსური კონსულტაციის მომსახურება

EY GEORGIA LLC * 204444158 * ფინანსური კონსულტაციის მომსახურება

კონტექსტი

		გვ.
1	პროექტის ჩვენი ხედვა	3
2	ჩვენი მიდგომა	5
3	წინადადების ფასი და შესრულების ვადები	11
4	ჩვენი გუნდი	13
5	კვალიფიკაცია და შესაბამისობის კრიტერიუმები	20
6	EY-ს შესახებ	26

1 პროექტის ჩვენი ხედვა

პროექტის მოთხოვნები

პროექტი ითვალისწინებს თბილისის „ღამის ეკონომიკის“ არსებული მდგომარეობის კვლევებზე დაფუძნებული გრძელვადიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

- თბილისის „ღამის ეკონომიკის“ ამჟამინდელი მდგომარეობის განსაზღვრისათვის, ასევე არსებული კულტურული უნიკალურობის უპირატესობის განსაზღვრისათვის საჭიროა სოციოლოგიური კვლევების ჩატარება.
- ამასთან, სოციოლოგიური კვლევების მომზადება საჭიროა იმისათვის, რომ დადგინეს ღამით მომუშავე დაწესებულებების მომსახურება და საქმიანობა კონკრეტული მიმართულებების მიხედვით.
- კვლევებზე დაყრდნობით და მათი ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილი უნდა იქნას სტრატეგიული დოკუმენტი და დეტალური სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანიცაა ხელი შეუწყოს, მოქალაქეების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, ტურიზმის, სამუშაო ადგილების ზრდას, ქალაქის ურბანულ განვითარებას ღამის პერიოდში და ზოგადად ღამის განმავლობაში არსებული ეკონომიკური პოტენციალის ათვისებას.
- პროქტის ტექნიკური დავალებიდან გამომდინარე, გთავაზობთ შემდეგ მომსახურეობას პროექტის რეალიზაციის ფარგლებში:
    - გამოკვლევების ჩატარება და ანალიზი;
    - სტრატეგიული დოკუმენტის მომზადება;
    - დეტალური სამოქმედო გეგმის მომზადება.

თითოეულ ეტაპს დეტალურად აღვწერეთ ქვემომდებარე პრეზენტაციაში. სამუშაოს აღწერილობა შედგენილია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სისტემაში ტენდერში # NAT180014874 ატვირთული დოკუმენტაციის საფუძველზე.

ძირითადი ამოცანები კონსულტანტისათვის

- კლიენტის მიერ მოთხოვნილი რეპორტი მოიცავს ზემოთ მოყვანილი ამოცანების ანალიზს.
- პროექტის განხორციელებისთვის საჭიროა, რომ გუნდის წევრები ფლობენ გამოცდილი კვლევით ბაზარზე.

2 სამუშაოს აღწერილობა

სამუშაოს აღწერილობა

	1. კვლევების ჩატარება და ანალიზი	2. სტრატეგიული დოკუმენტის მომზადება	3. დეტალური სამოქმედო გეგმის მომზადება
სამუშაოს მიმართულებები	▶ თბილისის „ღამის ეკონომიკის“ ამჟამინდელ მდგომარეობასთან დაკავშირებული კვლევითი ნაწილის ძირითადი მიმართულებები: ▶ ღამით მომუშავე დაწესებულებების მომსახურებების და საქმიანობის შესწავლა კონკრეტული მიმართულებების მიხედვით; ▶ ინფორმაცია რეგულაციებზე და არსებული კანონმდებლობა; ▶ დემოგრაფიული და ურბანული ინდიკატორები; ▶ ტურიზმის ინდიკატორები; ▶ საზოგადოებრივი აზრის კვლევა;	▶ თბილისის ღამის ეკონომიკის სტრატეგია; ▶ სტარტეგიული დოკუმენტის განმარტება, კვლევების მეთოდოლოგია და ჩატარებული სამუშაოების აღწერილობა; ▶ არსებული ვითარების და გამოწვევების ანალიზი, ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით; ▶ დედაქალაქის პოტენციალი, შესაძლებლობები და პერსპექტივები ღამის ეკონომიკის ჭრილში.	▶ დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს: ▶ შემდეგი 4 წლის მანძილზე განსახორციელებელ საქმიანობებს და აქტივობებს ▶ სამუშაო ეტაპებს და მინიმუმ 50 საფეხურს, რომელიც გონივრულად იქნება გადანაწილებული შემდეგი 4 წლის მანძილზე

სამუშაოს აღწერილობა

1. კვლევების ჩატარება და ანალიზი

	კვლევის მიზანია შეისწავლოს	კვლევის მიმართულებები
1.1 ღამით მომუშავე დაწესებულებების შემდეგი მომსახურება და საქმიანობის შესწავლა	➢ საკვებით და სასმელით მომსახურება ➢ საცალო ვაჭრობა ➢ საფინანსო მომსახურების საქმიანობა ➢ შემოქმედებითი, სახელოვნებო და გართობის საქმიანობები ➢ ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმების და სხვა კულტურული დაწესებულებების საქმიანობები ➢ აზარტული თამაშების საქმიანობები ➢ საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში ➢ ტურისტული სააგენტოები, ტურ-ოპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები	➢ რაიონების მიხედვით ➢ სექტორების მიხედვით ➢ ლოკაციების დადგენა ➢ რაოდენობების დადგენა ➢ სამუშაო საათების დადგენა ➢ ღამის საათებში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობის გამოვლენა სხვადასხვა სექტორის მიხედვით ➢ ღამის საათებში მომუშავე პირების საშუალო შემოსავლების დადგენა
1.2 ინფორმაცია რეგულაციებზე და არსებული კანონმდებლობა	➢ ღამის ეკონომიკის ჩარჩოებში არსებული ლიცენზიები, კანონები და რეგულაციები ➢ აკუსტიკურ დანაგვიანებასთან დაკავშირებული საჩივრები ბოლო ერთი წლის მანძილზე (როგორც შსს-ს მონაცემებით ასევე ქალაქ თბილისი მერია) ➢ საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკა (მინიმუმ ღამის ეკონომიკაში ჩართული 3 ქალაქის მაგალითზე) ღამის ეკონომიკის ჭრილში	➢ ღამის ეკონომიკის ჩარჩოებში არსებული ლიცენზიები, კანონები და რეგულაციები: ➢ ალკოჰოლის მოხმარება-გაყიდვასთან დაკავშირებული; ➢ აკუსტიკურ დანაგვიანებასთან დაკავშირებული
1.3 დემოგრაფიული და ურბანული ინდიკატორები	➢ დედაქალაქის დემოგრაფიული მონაცემების შესწავლა და მათი ანალიზი ღამის ეკონომიკის ჭრილში, რაიონების მიხედვით	➢ მოსახლეობის ასაკი და სქესი; ➢ შემოსავლები; ➢ მიწის ღირებულების და იჯარის საშუალო ფასი;

EY GEORGIA LLC * 204441158 *

სამუშაოს აღწერილობა

	კვლევის მიზანია შეისწავლოს	კვლევის მიმართულებები
1.4 ტურიზმის ინდიკატორები	➢ დედაქალაქში საერთაშორისო ვიზიტორების შესახებ 2015 - 2018 წლის მონაცემების ანალიზი	➢ ვიზიტორების რაოდენობა ➢ ვიზიტორების მიერ გაწეული საშუალო დანახარჯები ➢ ვიზიტორების დარჩენის საშუალო ხანგრძლივობა
1.5 საზოგადოებრივი აზრის კვლევა	➢ დედაქალაქის მოსახლეობის აზრის კვლევა	➢ მოსახლეობის დამოკიდებულების იდენტიფიცირება ღამის ეკონომიკის პროექტის მიმართ; ➢ მოსახლეობის ღამის საათებში არსებული კულტურული და სპორტული ღონისძიებების შეფასება; ➢ მოსახლეობის უსაფრთხოების შეფასება ღამის საათებში; ➢ მოსახლეობის შეფასება ხმაურთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში; ➢ მოსახლეობის ქცევის შესწავლა ღამის საათებში; ➢ მოსახლეობის აქტივობები და მათი სიხშირე ღამის საათებში კვირის დღეების მიხედვით; ➢ მოსახლეობის, ღამის საათებში მოქმედი ტრანსპორტის შეფასება.

სტრუქტურირებული კითხვარი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვისთვის:

➢ კვლევის ობიექტების შერჩევა: მოსახლეობა ტერიტორიული საზღვრების მიხედვით (10 რაიონი) - არანაკლებ 1000 (ათასი) რესპოდენტი (18 წლის და ზევით ასაკის).

სამუშაოს აღწერილობა

2. სტრატეგიული დოკუმენტის მომზადება

თბილისის ღამის ეკონომიკის სტრატეგია ითვალისწინებს კვლევებზე დაყრდნობით და მათი ანალიზის შედეგად შემუშავებულ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს:

- პრეამბულა
- სტრატეგიული დოკუმენტის განმარტებას;
- კვლევების მეთოდოლოგიას;
- ჩატარებული სამუშაოების აღწერილობას;
- არსებული ვითარების და გამოწვევების ანალიზის, ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით;
- დედაქალაქის პოტენციალს, შესაძლებლობებს და პერსპექტივებს ღამის ეკონომიკის ჭრილში.

ღამის ეკონომიკის ჭრილში შემუშავებული მიმართულებები

- პრიორიტეტული სფეროები მომდევნო 4 წლის მანძილზე. (2019-2022) ინდიკატორების მიხედვით:
  - სამუშაო ადგილების რაოდენობები
  - სექტორული ბრუნვები
- აუცილებელი, არსებული და ჩამოსაყალიბებელი ერთეულების ფუნქციების და საჭიროების განმარტებები, მათ შორის თბილისის მუნიციპალიტეტის როლი
- სპორტული და კულტურული დანიშნულების ობიექტების და ღონისძიებების განვითარების კონცეფცია
- დედაქალაქში ტურისტების მიერ გატარებული დღეების რაოდენობის ზრდის გზები
- თბილისის როგორც ტურისტული მიმართულების პოზიციონერების ხელშეწყობის გზები
- კერძო და საჯარო ინტერესებს შორის დაბალანსების კონცეფცია
- კანონმდებლობის, ლიცენზირების და რეგულაციების გაუმჯობესების გზები
- საკომუნიკაციო აქტივობების და საინფორმაციო კამპანიების კონცეფცია

სამუშაოს აღწერილობა

3. დეტალური სამოქმედო გეგმის მომზადება

თბილისის ღამის ეკონომიკის არსებული მდგომარეობასთან დაკავშირებული კვლევების და სტრატეგიის საფუძველზე შემუშავებული დეტალური სამოქმედო გეგმა, მომდევნო 4 წლის მანძილზე განვითარებისთვის (2019-2022) მოიცავს:

- განსახორციელებელ საქმიანობას და აქტივობებს, რომლებიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი ხედვის წარმატებით განვითარებას შემდეგი 4 წლის მანძილზე ;
- სამუშაო ეტაპებს და მინიმუმ 50 საფეხურს რომელიც გონივრულად იქნება გადანაწილებული შემდეგი 4 წლის მანძილზე.

ღამის ეკონომიკის ჩარჩოებში განიხილება შემდეგი მიმართულებები და თემატიკა:

- სპორტული და კულტურული აქტივობები და ობიექტები,
- კულინარია და საკვები დაწესებულებები,
- საკლუბო სცენა,
- ტურიზმი
- სხვა ღამის პერიოდში მოქმედი სერვისები
- ტრანსპორტი
- უსაფრთხოება
- ინფრასტრუქტურა
- კომუნიკაცია (მარკეტინგი, საზოგადოებასთან ურთიერთობა), ბრაუნფილდების განვითარება
- ჯანდაცვა.

3 წინადადების ფასი და შესრულების ვადები

წინადადების ფასი და შესრულების ვადები

№	მომსახურების დასახელება	რაოდენობა	საერთო ღირებულება (ლარი)
1	თბილისის „ღამის ეკონომიკის“ კვლევის მომსახურება	1	172,616

მომსახურების გაწევის ვადები



4 ჩვენი გუნდი

ჩვენი გუნდი

ზვიად მემარნიშვილი
დირექტორი
ფინანსური კონსულტაციის მომსახურება, საქართველო

ტელ: +995 32 215 88 11
ფაქსი: +995 32 215 88 22
Email: Zviad.Memarnishvili@ge.ey.com

ზოგადი ინფორმაცია

- ზვიადი არის უფროსი მენეჯერი და საკონსულტაციო მომსახურების ხელმძღვანელი EY საქართველოში. აქვს 15 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება აუდიტსა და საკონსულტაციო სერვისებში მრავალ ინდუსტრიულ დარგში.
- ზვიადი შეუერთდა EY-ს 2003 წელს და არის თბილისის ოფისის გუნდის წევრი.
- დაამთავრა ევროპული მენეჯმენტის სკოლა თბილისში 2004 წელს და აქვს ბაკალავრის ხარისხი. საუბრობს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

პროფესიული უნარები:

გააჩნია ღრმა ცოდნა და გამოცდილება IFRS-ში, კერძოდ ისეთ დარგებში როგორიც არის ენერგოწარმოება, კომუნალური სერვისები, ინდუსტრიული და ფინანსური სერვისები, საბანკო და ლიზინგის სფეროები.

პროფესიული გამოცდილება

- მუშაობდა EY-ის სხვადასხვა ოფისებში (თბილისი, კიევი, ალმაატი და მოსკოვი) ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. აქვს დიდი გამოცდილება აუდიტისა და საკონსულტაციო მომსახურების სფეროში სხვადასხვა ინდუსტრიის კომპანიებისთვის:
- ტრანსპორტი, კომუნიკაციები, მშენებლობა და ტექნოლოგიები: საქართველოს რკინიგზა, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, Germanos Telecom Ukraine, Sunlight Ukraine SRL, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი.
- ენერგოწარმოება, ნავთობი და გაზი: DTEK Ukraine (დონბასის ნავთობის და ენერგო კომპანია) , Air BP, შავი ზღვის ტერმინალი, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია.
- ინდუსტრიული პროდუქტები: Volgograd Aluminium Factory (SUAL), Pilkington Glass , Evraz Holding, Zeppelin Armenia
- ფინანსური ბაზრები- ABN Amro Asset Management (Kazakhstan), ABN Amro Pension Fund (Kazakhstan), Georgian Leasing company, Bank Prykarpattya
- საქართველოს სამთო კურორტების ბაზრის ანალიზი, გუდაურის ახალი სოფელის, ბაკურიანის კურორტის და შოვის კურორტის განვითარების კონცეპტის შემუშავება.
- შეფასების და ფინანსური მოდელირების გამოცდილება უძრავი ქონების და განთავსების სფეროში, წარმოების, საცალო ვაჭრობის და ტელეკომუნიკაციის სფეროში.
- ფინანსური ანალიზი, შეფასება, ბიზნეს მოდელირება და სამართლიანი შეფასების დასკვნა, გარიგებების მხარდაჭერა, კორპორატიული და კომერციული საკონსულტაციო მომსახურება, შერწყმა და შეძენის გარიგების მასალების მომზადება
- ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების და განვითარების კონცეპტის მომზადება
- გარიგებების კომპლექსური შემოწმების გამოცდილება- კომპლექსური ფინანსური შემოწმების (FDD) გამოცდილება მრეწველობის, ფინანსური ინსტიტუტების, ენერგეტიკის, წარმოებისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში

ჩვენი გუნდი

თემო კიღურაძე
მენეჯერი
ფინანსური კონსულტაციის მომსახურება, საქართველო

ტელ: +995 32 215 88 11
ფაქსი: +995 32 215 88 22
Email: Temo.Tighuradze@ge.ey.com

ზოგადი ინფორმაცია

- თემო არის მენეჯერი საკონსულტაციო მომსახურების დეპარტამენტის თბილისის ოფისში. აქვს 3 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება სხვადასხვა კომპანიებისთვის საკონსულტაციო სერვისების და 5 წელზე მეტი გამოცდილება აუდიტის განხორციელების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) და საკონსულტაციო მომსახურების სტანდარტების შესაბამისად. შეუერთდა EY-ს 2010 წელს და არის თბილისის ოფისის გუნდის წევრი.

პროფესიული გამოცდილება

- გარიგებების კომპლექსური შემოწმების გამოცდილება- კომპლექსური ფინანსური შემოწმების (FDD) გამოცდილება დარგებში: მრეწველობა, ფინანსური ინსტიტუტები, ენერგეტიკა, წარმოება და ტელეკომუნიკაციები.
- შეფასების და ფინანსური მოდელირების გამოცდილება უძრავი ქონების და განთავსების სფეროში, წარმოება, საცალო ვაჭრობა და ტელეკომუნიკაციის, ნავთობი და გაზის სექტორი ყაზახეთსა და საქართველოში;
- ფინანსური ანალიზი, შეფასება, ბიზნეს მოდელირება და სამართლიანი შეფასების დასკვნა, გარიგებების მხარდაჭერა, კორპორატიული და კომერციული საკონსულტაციო მომსახურება, შერწყმა და შეძენის გარიგების მასალების მომზადება; ბიზნეს გეგმისა და ფინანსური მოდელის მომზადება;
- ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების და განვითარების კონცეპტის მომზადება;
- საქართველოს სამთო კურორტების ბაზრის ანალიზი, გუდაურის ახალი სოფელის, ბაკურიანის კურორტის და შოვის კურორტის განვითარების კონცეპტის შემუშავება.

აქვს 5 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება აუდიტის და საკონსულტაციო სერვისების მრავალ ინდუსტრიულ დარგში განხორციელებისა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

- აუდიტის გამოცდილება დარგებში: საცალო ვაჭრობა, ნავთობი და გაზი, სამრეწველო პროდუქტები, კომუნალური სერვისები, ფინანსური ინსტიტუტები;

განათლება:

- კავკასიის ბიზნეს სკოლა (09/2005-10/2009) - ბაკალავრის ხარისხი-ბიზნეს ადმინისტრირება
- არის ACCA-ის წევრი

პროფესიული უნარები:
გააჩნია ღრმა ცოდნა როგორც ბიზნეს მოდელირებაში, ფინანსურ ანალიზსა და შეფასებაში; ასევე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) და საქართველოს საგადასახადო კოდექსის.

ჩვენი გუნდი

ნინო ესაკია

მენეჯერი, MD, MBA, MPA, PhD კანდიდატი

სახელმწიფო და საჯარო პრაქტიკის ხელმძღვანელი

ტელ: +995 32 2158811

მობ: +995 577 188811

ფაქსი: +995 32 2158811

Email: Nino.Esakia@ge.ey.com

ზოგადი ინფორმაცია

- ნინო ხელმძღვანელობს სახელმწიფო და საჯარო სექტორის პრაქტიკას EY საქართველოში 2014 წლიდან; მას გააჩნია 15 წლიანი საჯარო ადმინისტრირების გამოცდილება;
- ნინო ფლობს საჯარო მართვის მაგისტრის ხარისხს, მაქსველის საჯარო მართვის სკოლიდან, სირაკუზის უნივერსიტეტი, აშშ; ბიზნესს ადმინისტრირების ხარისხს კავკასიის ბიზნესს სკოლიდან, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო; ამჟამად გახლავთ საჯარო ადმინისტრირების დოქტორის კანდიდატი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში;
- ნინო ასევე ფლობს სერთიფიკატებს სტენფორდის, ბოსტონის, ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან და გახლავთ სერთიფიცირებული პროექტის მენეჯერი.

ექსპერტიზის სფეროები

- ნინოს ექსპერტიზის ძირითად სფეროებს წამოადგენს: საჯარო ადმინისტრირება, საჯარო პოლიტიკა, სტრატეგიული დაგეგმვა, პროექტების მართვა, საჯარო ფინანსების, პროექტების მონიტორინგი და შეფასება, შესყიდვების მართვა;
- გააჩნია როგორც სახელმწიფო პროგრამების და საერთაშორისო პროექტების მართვის 15 წლიანი გამოცდილება, შესაბამისად საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება.

სამუშაო გამოცდილება

- ნინოს გააჩნია როგორც საჯარო სექტორის, ასევე კერძო სექტორის მართვის 15 წლიანი გამოცდილება;
- EY საქართველოში ნინო აკოორდინირებს და მართვას სახელმწიფო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ (EU, WB, EBRD, EIB, ADB, AIIB, etc) დაფინანსებულ პროექტებს, სხვადასხვა სექტორში.
- კერძო სექტორში გადასვლამდე, 8 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სხვადასხვა სამსახურს (სსიპ, დეპარტამენტი, სამმართველო). სადაც ასევე ჩართული იყო სახელმწიფო პროგრამების და საერთაშორისო პროექტების მართვაში.
- 2007 წლიდან, ხელმძღვანელობდა სსიპ-"საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელ ცენტრს", პასუხისმგებელი იყო მსოფლიო ბანკის, ევროკავშირის, გლობალური ფონდისა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საინვესტიციო პროექტების განხორციელებაზე, რომლის პორტფელის ღირებულება წელიწადის განმავლობაში შეადგენდა დაახლოებით 50 მლნ დოლარს.
- ხელმძღვანელობდა ჯანდაცვის სამინისტროს რეფორმების ოფისს და პასუხისმგებელი რეფორმის განხორციელებაზე.; საბიუჯეტო და შესყიდვების დეპარტამენტს და გააჩნია სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვების წარმოების გამოცდილება
- ევროკავშირის EU4Business და EU4Youth პროექტის კოორდინატორი საქართველოში და მოწვეული ლექტორი სხვადასხვა უნივერსიტეტში და კითხულობს პროექტების მართვის ლექციებს და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების კომპასის წარმომადგენელი საქართველოში

ჩვენი გუნდი

გიორგი სვანაძე LL.M., MLB (Bucerius/WHU)

ასოცირებული პარტნიორი

EY-ის იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი საქართველოში

ტელ: +995 32 215 88 11
ფაქსი: +995 32 215 88 22
Email: George.Svanadze@ge.ey.com

ზოგადი ინფორმაცია

- გიორგი არის EY-ის იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი საქართველში.
- გიორგი არის ქართველი კვალიფიციური იურისტი, საქართველოსა და გერმანიაში მიღებული იურიდიული განათლებით. აქვს Bucerius Law School and Otto-Beisheim School of Management -ის სამართლისა და ბიზნესის მაგისტრის ხარისხი (MLB), Christian-Albrechts-University Kiel-ის სადოქტორო ხარისხი სამართალში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის და ბაკალავრის ხარისხი. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი და ბიზნეს სამართლის ეროვნული ცენტრის აკადემიური წევრი (NCCL).
- გიორგი შეუერთდა EY-ს 2016 წელს და არის თბილისის ოფისის გუნდის წევრი.
- გიორგის საუბრობს ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე.

პროფესიული გამოცდილება

- გიორგიმ თავისი პროფესიული გამოცდილება მიიღო, ძირითადად, საქართველოსა და გერმანიაში, როგორც ადვოკატი და კორპორაციული იურისტი საერთაშორისო სამართლის ფირმებისთვის, ასევე სხვა დიდი ოთხეულის კომპანიებსა და მინერალური წყლის მწარმოებელ კოპმანიაში.
- გიორგის სპეციალობა მოიცავს კლიენტებისთვის კორპორატიული საკითხების შესახებ რჩევას, ადგილობრივი და უცხოური კომპანიების ტრანსსასაზღვრო ტრანზაქციების სტრუქტურირება, კომპლექსური იურიდიული შემოწმება, შრომითი, დასაქმების და საიმიგრაციო კანონმდებლობა,საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებისშედგენა,კანონთა კონფლიქტი (საერთაშორისო კერძო სამართალი), კომერციული დავები/არბიტრაჟი, სალიცენზიო წესები, კონკურენციის კანონი, მარეგულირებელი ჩარჩო, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების რეგულაციები, საბანკო და მიკრო საფინანსო ოპერაციები.

დამატებითი ინფორმაცია

- გიორგის გაუწევია კონსულტაცია კლიენტებისთვის სხვადასხვა სფეროსა და ინდუსტრიაში საერთაშორისო ბიზნეს გარიგებისა და კომერციული კონტრაქტების საკითხებზე.
- გიორგი რეგულარულად ახორციელებს ტრენინგებსა და სემინარებს საერთაშორისო ბიზნეს გარიგებების და კანონთა კონფლიქტის შესახებ იურისტებისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების საქართველოში.
- გიორგი არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტექსტური წიგნის თანაავტორი კონტრაქტის სამართალში პრაქტიკოსებისთვის. (იხილეთ ბმულები): https://ewmi.org/JILEPApril2014; http://www.ewmi-jilep.org/images/stories/books/Contract_Law/Contract_Law_Textbook_GEO.pdf), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (იხილეთ ბმული: http://www.gccc.ge/) and guidebooks on International Judicial Cooperation in Civil and Commercial Matters.

ჩვენი გუნდი

ოლგა არხანგელსკაია
პარტნიორი
დსთ-ს უძრავი ქონების ჯგუფის ლიდერი

ტელ: +7 495 755 9854
ფაქსი: +7 495 755 9701
Email: Olga.Arkhangelskaya@ru.ey.com

სამუშაო გამოცდილება

- დაიწყო მუშაობა კომპანია «Artur Andersen» რუსეთის ოფისში 1997 წელს და შემდგომ EY-ში 2002 წელს. მუშაობს მოსკოვის ოფისში.
- სპეციალიზებულია უძრავი ქონების საკონსულტაციო, უძრავი ქონების ობიექტების შეფასების სფეროში, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების მომზადებაში, ფინანსურ ანალიზში,უძრავი ქონების პორთფელის სტრატეგიის შემუშავებაში, ტურიზმისა და სასტუმრობის ინდუსტრია, ფინანსური გარიგებების ფინანსირების მოზიდვაში და სტრუქტურირებაში.
- ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა უძრავი ქონების ბიზნესის და შეფასების მნიშვნელოვან პროექტებში, მათ შორის მსხვილი რუსული კომპანიები (Sberbank, VTB, Russian Railways, Gazprombank, Northern Caucas Resorts), საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები და უძრავი ქონების ფონდები (Eurohypo, CSFB, GHP Group, PPF, Morgan Stanley), რუსი დეველოპერები (O1 Properties, Inteco, AFI Development, HALS-development, Capital Group, RosEuroDevelopment, PIK Group) და საერთაშორისო კორპორაციები და ინვესტორები (Bridgestone, Merloni, Siemens, Komatsu, Mitsui, Daimler).
- ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა ტერიტორიების განვითარებასთან და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ მრავალ პროექტში, როგორც რუსეთისა და უცხოეთის ქვეყნების რეგიონალურ და მუნიციპალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, ასევე საჯარო სტრუქტურებთან.

განათლება

- მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტი. სპეციალობა – ოპერაციების კვლევა;
- რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ფინანსური აკადემიის ეკონომიკის ფაკულტეტი;
- New Economic School-ის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი;
- მოსკოვის ფინანსური აკადემიის პროფესიული შეფასების ინსტიტუტის კვალიფიკაცია- შემფასებელი.

წევრობა

- დირექტორთა საბჭოს პირველი წარმომადგენელი RICS (Royal Institute of Chartered Surveyors)
- Urban Land Institute – მართვის საბჭოს წევრი რუსეთში, ვიცე პრეზიდენტი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში
- ევროპული ბიზნესის ასოციაცია რუსეთში– უძრავ ქონებაში ინვესტიციის ფარგლებში მომუშავე კომიტეტის ჯგუფის ხელმძღვანელი
- SMAO-სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- რუსეთის შემფასებელთა საზოგადოების წევრი

ჩვენი გუნდი

ილია სუხარნიკოვი
დირექტორი,
უძრავი ქონების, ინფრასტრუქტურისა და სამთავრობო სექტორის გუნდი

ტელ: +7 (495) 6629398
ფაქსი: +7 (495) 7559701
Email: Ilya.Sukharnikov@ru.ey.com

ზოგადი ინფორმაცია

- ილია შეუერთდა EY-ს მოსკოვის ოფისს 2005 წელს. მისი სპეციალობა მოიცავს ფინანსურ ანალიზს, ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას, ბიუჯეტის და ხარჯების კონტროლს, შეფასებას
- განახორციელა 100-ზე მეტი პროექტი სხვადასხვა სფეროში სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებისთვის როგორიცაა Rosnanotech , რუსეთის ფედერაციის რეგიონული განვითარების სამინისტრო, VEB-Invest, Mitsui & Co., Mirax Group, Africa-Israel, Sistema-Hals, Inteco, Rossiyskiy Kredit Bank და სხვა.

განათლება და კვალიფიკაცია

- დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის უმაღლესი სკოლა (ეკონომიკის ფაკულტეტი), ეკონომიკის სპეციალობით, ფაკულტეტი-საფინანსო და საფონდო ბირჟები
- მოსკოვის ფინანსური აკადემიის პროფესიული შეფასების ინსტიტუტის კვალიფიკაცია- შემფასებელი.
- სერტიფიცირებული კომერციული საინვესტიციო მენეჯერი (CCIM, USA)

სამუშაო გამოცდილება

- ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა სხვადასხვა რთულ მრავალფუნქციურ პროექტებს:
  - ბაზრის ყოვლისმომცველი ანალიზი, პოზიციონირება და დეტალური კონცეფციები, ფინანსური მოდელირება და ბიზნეს-გეგმების მომზადება 5 სათხილამურო კურორტზე სამთავრობო კორპორაციის ჩრდილოეთ კავკასიის კურორტებისთვის.
  - საბაზრო კვლევა, განვითარების კონცეფციის შემუშავება, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და ბიზნეს გეგმის შემუშავება გუდაურის მთის კურორტისთვის
  - რამდენიმე დიდი კონცეპტის განვითარების პროექტები (Nanograd- მოსკოვის რეგიონში, Innopolis-თათრეთში, Diamond Valley იაკუტიაში, Bionic Hill კიევში) დაკავშირებული ახალი ქალაქების ან ქალაქის ნაწილის შექნასთან. პროექტები მოიცავს დეტალურ კვლევებს საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილებით, მიზნობრივი სეგმენტის და პოტენციური რეზიდენტი კომპანიების სოციოლოგიურ კვლევებს, შედეგად შემუშავდა დეტალური კონცეპციები, სამოქმედო გეგმები და ფინანსური ანალიზი პროექტების ყველა ასპექტზე
  - საბაზრო კვლევები, რეკრეაციული კომპლექსების და ტერიტორიების კონცეპციის განვითარება
  - ტექნიკურ-ფინანსური კვლევები, ფინანსური მოდელირება და უძრავი ქონების აქტივებისა და პროექტების შეფასება, როგორიცაა სასტუმროები, სავაჭრო ცენტრები, ოფისები, საწყობი კომპლექსები და მიწის ნაკვეთები
- მონაწილეობდა RE Trend ინდიკატორის კვლევის ორგანიზებაში, სასტუმროების და ტურიზმის ინდუსტრიის და სხვა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი კვლევაში

EY GEORGIA LLC * 204441158 *

5 კვალიფიკაცია და შესაბამისობის კრიტერიუმები

ჩვენი შერჩეული გამოცდილება
საქართველო

ჩვენ კომპანიას აქვს განხორციელებული 500-ზე მეტი ბიზნეს გეგმების პროექტი, კონცეპტის განვითარების, სხვადასხვა ტიპის უძრავი ქონების უმაღლესი და საუკეთესო გამოყენების ანალიზი.
ქვემოთ წარმოდგენილია სტარტეგიული დოკუმენტის შექმინის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი პროექტები:

ახალი გუდაურის სამთო კურორტი

ახალი გუდაურის სათხილამურო სოფლისთვის კონცეფციის და ბიზნეს გეგმის შემუშავება კომერციული ინფრასტრუქტურის საშუალებით Ecosign Mountain Resort Planners-თან თანამშრომლობით (ცნობილი საერთაშორისო ექსპერტი სამთო კურორტების დაგეგმარებაში).

Georgia

ecosign Mountain Resort Planners Ltd.

Gudauri

მომსახურების აღწერილობა მოიცავს:

- ტერიტორიის კომპლექსური ანალიზი
- ყოვლისმომცველი სოციოლოგიური კვლევა, მათ შორის რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევა 10 ქვეყანაში
- კონცეფციის შემუშავება, ორიენტირებული მთელი წლის განმავლობაში მოქმედ კურორტზე
- დეტალური ფინანსური მოდელის შემუშავება, მათ შორის ფულადი ნაკადების პროგნოზირება და საინვესტიციო ანალიზი თითოეული ტიპის ინფრასტრუქტურისთვის თითოეულ განვითარების ფაზაზე
- პროექტის საბანკო ბიზნეს გეგმის მომზადება, მარკეტინგული სტრატეგიის და ფინანსური გეგმის ჩათვლით
- ტერიტორიის ყოვლისმომცველი სივრცითი გეგმის შემუშავება (Ecosign)

EY Building a better working world

ბაკურიანის სამთო კურორტი

ბაკურიანის სამთო კურორტის კონცეფციის და ბიზნეს გეგმის შემუშავება კომერციული ინფრასტრუქტურის საშუალებით Ecosign Mountain Resort Planners-თან თანამშრომლობით (ცნობილი საერთაშორისო ექსპერტი სამთო კურორტების დაგეგმარებაში).

Georgia

ecosign Mountain Resort Planners Ltd.

Bakuriani

მომსახურების აღწერილობა მოიცავს:

- ტერიტორიის კომპლექსური ანალიზი
- ყოვლისმომცველი სოციოლოგიური კვლევა, მათ შორის რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევა 6 ქვეყანაში
- კონცეფციის შემუშავება, ორიენტირებული მთელი წლის განმავლობაში მოქმედ კურორტზე
- დეტალური ფინანსური მოდელის შემუშავება, მათ შორის ფულადი ნაკადების პროგნოზირება და საინვესტიციო ანალიზი
- პროექტის საბანკო ბიზნეს გეგმის მომზადება, მარკეტინგული სტრატეგიის და ფინანსური გეგმის ჩათვლით
- ტერიტორიის ყოვლისმომცველი სივრცითი გეგმის შემუშავება (Ecosign)

EY Building a better working world

შოვის სამთო კურორტი

შოვის სამთო კურორტის კონცეფციის შემუშავება და ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი, რომელიც მოიცავს ბაზრის ანალიზს, პროექტის შემოთავაზებული კონცეფციის აღწერა, მშენებლობის დასრულების შემდეგ კურორტის ოპერატიული მონაცემების პროგნოზი

მომსახურების აღწერილობა მოიცავს:

- მიწის ნაკვეთის ანალიზი და ბაზრის კვლევა
- ყოვლისმომცველი სოციოლოგიური კვლევა, მათ შორის რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევა 4 ქვეყანაში
- ბაზრის პოზიციონირება, კონცეფციის შექმნა და ფუნქციური დაყოფა
- ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება და პროექტის ფულადი ნაკადების გაანგარიმება
- პროექტის საბანკო ბიზნეს გეგმის მომზადება, მარკეტინგული სტრატეგიის და ფინანსური მოდელის ჩათვლით

EY Building a better working world

EY GEORGIA LLC * 204441158 *

კვალიფიკაცია და შესაბამისობის კრიტერიუმები

სტრატეგიული დოკუმენტის შექმნის და რაოდენობრივი კვლევის მეთოდით ჩატარებული კვლევითი მომსახურების გაწევის გამოცდილება

დავალების სახელწოდება	დაქირავების ადგილი	მიწოდების წელი	დავალების მოკლე აღწერილობა	არანაკლებ 1000 რესპოდენტის გამოკითხვა	EY ექსპერტები
ახალი გუდაურის სამთო კურორტი	საქართველო	2015 - 2016	ახალი გუდაურის სათხილამურო სოფლისთვის კონცეფციის, მომდევნო 15 წლის სტრატეგიული განვითარების და ბიზნეს გეგმის შემუშავება კომერციული ინფრასტრუქტურის საშუალებით Ecosign Mountain Resort Planners-თან თანამშრომლობით.	სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდით გამოკითხულ იქნა 10 ქვეყნის წარმომადგენელი. საქართველო - 265, რუსეთი - 282, უკრაინა - 102, პოლონეთი - 230, 393 - ლიტვა, 219 - ლატვია, 442 - თურქეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი	ილია სუხარნიკოვი ზვიად მემარნიშვილი თემო კიღურაძე ოლგა არხანგელსკაია
ბაკურიანის სამთო კურორტი	საქართველო	2016 – 2017	ბაკურიანში არსებული სამთო კურორტის კონცეფციის, 15 წლიანი სტრატეგიული განვითარების და ბიზნეს გეგმის შემუშავება კომერციული ინფრასტრუქტურის საშუალებით Ecosign Mountain Resort Planners-თან თანამშრომლობით	სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდით გამოკითხულ იქნა 6 ქვეყნის 1217 წარმომადგენელი. გამოკითხული საერთაშორისო ტურისტების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით: საქართველო-402 რესპოდენტი; რუსეთი-523 რესპოდენტი; სომხეთი-37 რესპოდენტი; აზერბაიჯანი-48 რესპოდენტი; უკრაინა-134 რესპოდენტი; ყაზახეთი-73 რესპოდენტი.	ილია სუხარნიკოვი ზვიად მემარნიშვილი თემო კიღურაძე ოლგა არხანგელსკაია
შოვის სამთო კურორტი	საქართველო	2017 - 2018	შოვის სამთო კურორტის კონცეფციის შემუშავება, 15 წლიანი სტრატეგიული განვითარების და ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი, რომელიც მოიცავს ბაზრის ანალიზს, პროექტის შემოთავაზებული კონცეფციის აღწერა, მშენებლობის დასრულების შემდეგ კურორტის ოპერატიული მონაცემების პროგნოზი	სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდით გამოკითხულ იქნა 4 ქვეყნის 1381 წარმომადგენელი. გამოკითხული საერთაშორისო ტურისტების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით: საქართველო-594 რესპოდენტი; რუსეთი-525 რესპოდენტი; უკრაინა- 110 რესპოდენტი; ყაზახეთი-152 რესპოდენტი.	ილია სუხარნიკოვი ზვიად მემარნიშვილი თემო კიღურაძე ოლგა არხანგელსკაია

ჩვენი გამოცდილება
კავკასიის რეგიონი

This announcement appears as a matter of record only

რაკიას განვითარების პროექტი

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა მრავალმხრივი გამოყენების შენობის პროექტისთვის, თბილისში, საქართველოში

Ey-ს გუნდმა შეასრულა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რომელიც მოიცავდა:

- რამდენიმე შესაბამისი უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი
- ადგილობრივი მოთხოვნის კვლევა
- უძრავი ქონების ბაზარზე სავარაუდო ზრდის შეფასება
- რეკომენდაციები ტექნიკურ და ეკონომიკურ პარამეტრებზე
- მოსალოდნელი ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშება

EY Building a better working world

This announcement appears as a matter of record only

GAB კურორტები

მრავალმხრივი გამოყენების კომპლექსის მიწის ნაკვეთის შეფასება საქართველოში

- შესაბამისი უძრავი ქონების სეგმენტების მარკეტინგული კვლევა
  - საცხოვრებელი
  - სასტუმრო
  - საოფისე და კომერციული უძრავი ქონება
- ადგილმდებარეობის ანალიზი
- მიწოდება-მოთხოვნის პროგნოზირება
- გამოყენების შესაძლო ალტერნატივების ანალიზი და შეფასება

EY Building a better working world

This announcement appears as a matter of record only

საინვესტიციო კომპანია

ძველ თბილისში მდებარე მიწის ნაკვეთზე მაღალი კლასის რეკრეაციული სასტუმროს და სპა პროექტებისთვის ბაზრის შესწავლა, კონცეფციის შემუშავება და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რომელიც ასევე მოიცავს აბანოთუბნის არეალში არსებული ისტორიული გოგირდის აბანოების რეაბილიტაციას

EY Building a better working world

This announcement appears as a matter of record only

ამტელის ქონების განვითარების პროექტი

უმაღლესი და საუკეთესო გამოყენების ანალიზი და კონცეფციის შემუშავება ჯ.ვ. ბუშის გზატკეცილზე არსებული მიწის ნაკვეთითვის, თბილისი

Citadines თბილისის, სასტუმროს პროექტრისგან დამოუკიდებლად, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და შეფასება, რომელიც მოიცავდა:

- ბაზრის ანალიზი:
  - საცხოვრებელი
  - სასტუმრო
  - საოფისე და კომერციული უძრავი ქონება
- ადგილმდებარეობის და შემოგარენის ანალიზი
- შესაბამისი კონცეფციის უმაღლესი და საუკეთესო გამოყენების განსაზღვრა და განვითარება

EY Building a better working world

EY GEORGIA LLC * 204441159 * EY

ჩვენი გამოცდილება
კავკასიის რეგიონი

This announcement appears as a matter of record only

ჩრდილოეთ კავკასიის კურორტები

ჩრდილოეთ კავკასიის სათხილამურო და ზღვისპირა კურორტების სტრატეგიის შემუშავება, მათ შორის ღრმა საბაზრო კვლევა და სოციოლოგიური კვლევა, კონცეფციის შემუშავება და ბიზნეს გეგმა დეტალური ფინანსური მოდელირებით თითოეული კურორტისათვის.

მომსახურება მოიცავდა 5 სათხილამურო კურორტს კავკასიის სხვადასხვა ნაწილში და დაღესტანის საზღვაო რეგიონში. სამუშაოს აღწერილობა ითვალისწინებდა:

- კურორტების ტერიტორიისთვის marcomplex ანალიზის შემუშავება (იურიდიული, ტექნიკური და უძრავი ქონების შეფასება)
- პოტენციური მოთხოვნის ღრმა სოციოლოგიური კვლევა (თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა მთელს რუსეთში)
- სათხილამურო და სოფლის ტერიტორიების კონცეფციის განვითარება
- ფინანსური ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, საინვესტიციო სტრუქტურა და ბიზნეს გეგმების მომზადება
- მარკეტინგული სტრატეგია

EY Building a better working world

This announcement appears as a matter of record only

დომბაის სათხილამურო კურორტი

ადგილმდებარეობის ანალიზი, ბაზრის კვლევა, ყველაზე მაღალი და საუკეთესო გამოყენების ანალიზი რეკრეაციული მიწის ნაკვეთისთვის განვითარებისათვის დუმბაიში

- ლოკალური უძრავი ქონების ბაზრის კვლევა რამდენიმე სეგმენტში
- მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის და მისი პერსპექტივების ანალიზი
- გამოყენების შესაძლო ალტერნატივების ანალიზი
- მოსალოდნელი ფინანსური შედეგების ანალიზი

EY Building a better working world

ჩვენი გამოცდილება

დიდი ინტეგრირებული კურორტების მრავალწლიანი განვითარების სტრატეგიის პროექტები

რუსეთის ფედერაციის რეგიონული განვითარების სამინისტრო

ამურის მდინარეზე, კაბაროვსკისთან მდებარე 17,000 ჰა უსურისკის კუნძულის კონცეფციის განვითარება

- კუნძულის ადგილმდებარეობის სტრატეგიული ანალიზი
- ჩინური და რუსული ბაზრის ანალიზზე დაფუძნებული რეკომენდაციები მომავალში პროექტის პოზიციონირებაზე
- ტერიტორიული კონცეფციის განვითარება
- განვითარების ზონების განსაზღვრა
- ტურისტული და რეკრეაციული
- კომერციული
- სასტუმრო
- ტერიტორიის ფუნქციური დაგეგმარება

EY Building a better working world

შორეული აღმოსავლეთის საინვესტიციო და საექსპორტო სააგენტო

პრიმორსკი რეგიონში რუსკის კუნძულზე განვითარების კონცეფციის შემუშავება, მათ შორის ტურისტული და რეკრეაციული, სასტუმრო, ბიზნეს, MICE, საცხოვრებელი და ინოვაციური ინფრასტრუქტურა.

- ტურიზმის ბაზრის ანალიზი და ტურისტების ნაკადის პროგნოზები
- ტერიტორიის ფუნქციური დაგეგმარება არსებული ინფრასტრუქტურული შეზღუდვებისა და ურბანული დაგეგმარების რეგულაციების გათვალისწინებით
- ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება, ფინანსური გეგმა და პერსპექტიული განვითარების გეგმის
- ფინანსური გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს PPP მექანიზმს
- საინვესტიციო შეთავაზების და მემორანდუმის მომზადება

EY Building a better working world

შორეული აღმოსავლეთის საინვესტიციო და საექსპორტო სააგენტო

უმაღლესი და საუკეთესო გამოყენების ანალიზი განვითარების პროექტ "კამპატკა"-ის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე ტურისტთა მოზიდვის ცენტრებისთვის განვითარებისთვის.

- ტურიზმის და რეკრეაციული პოტენციალის ანალიზი
- ტურიზმის ნაკადების ანალიზსა და პროგნოზებს
- კონკურსის შეფასება
- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი
- ტერიტორიის დაპროექტება და განვითარება საინვესტიციო შეთავაზების წინადადებისთვის

EY Building a better working world

ტიუმენის რეგიონის ადმინისტრირება

კონცეფციის განვითარების პროექტი მრავალფუნქციური სპა კურორტისთვის, რომელიც მდებარეობს "ციმბირისა" და "ტარასკულის" და ზამთრის სპორტის ცენტრ "ციმბირის მარგალიტის" ტერიტორიაზე.

EY- ს გუნდმა შექმნა კურორტის რეკონსტრუქციის კონცეფცია დიდი საკურორტო არეალისთვის, რომელიც მოიცავს:

- ბაზრის ანალიზი და მოთხოვნის პროგნოზები
- პოზიციონირება და სამიზნე სეგმენტის აღწერა
- ანალიზი და რეკომენდაციები განვითარების / რეკონსტრუქციის მიდგომისთვის
- რეკომენდაციები კურორტის ტექნიკური და ეკონომიკური პარამეტრების შესახებ,ფართობის გეგმა
- ფინანსური ანალიზი და საინვესტიციო მაჩვენებლების გაანგარიშება

EY Building a better working world

EY-ის საქმიანობის მიმოხილვა

EY-ის შესახებ

- EY არის მსოფლიო ლიდერი აუდიტორული, საგადასახადო, ტრანსაქციებთან დაკავშირებული და საკონსულტაციო მომსახურების სფეროში.
- დღეისათვის EY საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც 150 ქვეყანაში 728 ოფისით არის წარმოდგენილი. ჩვენს 190 000 თანამშრომელს აერთიანებს ჩვენი ღირებულებების ერთგულება და ხარისხზე ზრუნვა.
- EY წარმოადგენს „EY გლობალ ლიმიტედის" წევრი ფირმების გლობალურ გაერთიანებას, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია. თავად „EY გლობალ ლიმიტედ," გარანტიით შეზღუდული კომპანია, კლიენტებს მომსახურებას არ უწევს.
- კლიენტების კმაყოფილების შეფასებისთვის ვიყენებთ ე.წ. „მომსახურების ხარისხის შეფასების" სისტემას (ASQ) და ვცდილობთ მომსახურების ხარისხის მუდმივად გაუმჯობესებას კლიენტებისგან მიღებული კომენტარების საფუძველზე.
- ჩვენ ყველა ბაზარზე ვთანამშრომლობთ მარეგულირებელ ორგანოებთან და ჩვენი წვლილი შეგვაქვს ეფექტური და დაბალანსებული მარეგულირებელი გარემოს შექმნაში.
- მთელი მსოფლიოს მასშტაბით სახელმწიფო ორგანოებთან უწყვეტი კომუნიკაცია საშუალებას გვაძლევს, დავეხმაროთ კლიენტებს, რომ სწრაფი და ეფექტური რეაგირება მოახდინონ ახალ ნორმატიულ აქტებსა და ინტერპრეტაციებზე და დაუყოვნებლივ გადაჭრან ახალი საკითხები

2015 წელს EY უკვე მეჩვიდმეტედ აღიარეს „ყველაზე დიდი ინტელექტუალური კაპიტალის მქონე კომპანიად" (MAKE).

ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, ინდოეთისა და აფრიკის გაერთიანება მომსახურების ერთ რეგიონად

- 2008 წელს EY-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა გლობალური ინტეგრაციის ხედვის განხორციელების თვალსაზრისით და დიდი ოთხეულიდან პირველმა გააერთიანა ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, ინდოეთისა და აფრიკის 93 ქეყანაში მომუშავე ჩვენი 81,000 თანამშრომელი.
- 93 პარტნიორობის ერთიან ორგანიზაციულ სტრუქტურად ჩამოყალიბება განაპირობა იმან, რომ ჩვენი საერთაშორისო ბიზნესგარემო სულ უფრო გლობალური ხდება, რაც აისახება როგორც ჩვენი კლიენტების, ისე ჩვენი თანამშრომლების მოლოდინებზე და რეალურად გლობალურ მიდგომას მოითხოვს.
- EY-ში ასეთი დონის ინტეგრაცია განაპირობებს ჩვენს უნარს, რომ ყველგან ერთნაირად მაღალი ხარისხის მომსახურება გავწიოთ და საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენოთ ჩვენი საუკეთესო რესურსები სხვა ოფისებიდან.
- ჩვენ საქმიანობას ვეწევით იქ, სადაც ხართ თქვენ და სადაც აპირებთ თქვენი ბიზნესის გაფართოებას.



EMEIA
რეგიონი

EY საქართველოში

- EY წარმოადგენს „EY გლობალ ლიმიტედის“ წევრი ფირმების გლობალურ გაერთიანებას, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია. საქართველოში EY უკვე 20 წელზე მეტია, რაც მოღვაწეობს, დასაქმებული ჰყავს 120-ზე მეტი ექსპერტი და მისი წლიური ბრუნვა 4 მილიონ ევროს აღემატება. EY დიდ ოთხეულში შემავალი ფირმებიდან ერთადერთია, რომელსაც ადგილობრივი წარმოშობის პარტნიორი ჰყავს.

- EY ამაყობს იმით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან შეაქვს თავისი წვლილი ქვეყნის ბიზნესგარემოს განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. EY საფუძველს იღებს „ქართული საკონსულტაციო ჯგუფიდან“ (ჯი-სი-ჯი), რომელიც 1993 წელს დაარსდა და სანამ 2003 წელს EY-ს შეუერთდებოდა, საქართველოში პროფესიული მომსახურების წამყვანი კომპანია იყო. 2003 წელს ადგილობრივი წარმომადგენლობის გახსნით EY გახდა პროფესიული მომსახურების პირველი საერთაშორისო ფირმა, რომელმაც საქართველოში მუდმივი საქმიანობა წამოიწყო. მას შემდეგ EY-ის ყოველთვის აღიარებდნენ, როგორც აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების ლიდერს საქართველოში.

- 2013 წლის 1 ივლისიდან EY-მ გადაახალისა თავისი სლოგანი და სტრატეგია. „უკეთესი ბიზნესი უკეთესი მსოფლიოსთვის“ ჩვენი მიზანი ყოველთვის იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე ხმამაღლა საუბარი მხოლოდ ბოლო დროს დავიწყეთ. საქართველოში განხორციელებული ინვესტიციები და ამ ქვეყნის მიმართ აღებული ვალდებულებები ნათლად მეტყველებს ჩვენს მზადყოფნაზე, მონაწილეობა მივიღოთ უკეთესი მსოფლიოს მშენებლობაში.

- თავისი თანამშრომლების განვითარებაში მუდმივი ინვესტიციების ჩადების შედეგად EY დიდ ოთხეულში შემავალი ფირმებიდან ერთადერთია, რომლის პარტნიორებიც უცხოელები არ არიან. გარდა ამისა, EY-ის ბევრ ყოფილ თანამშრომელს წამყვანი თანამდებობა უკავია საქართველოში მოქმედ კომპანიებში, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ბიზნესსექტორის განვითარებაში EY-ის წვლილი განუზომლად დიდია.

EY სახელმწიფო პრაქტიკა

ჩვენ გვყავს სახელმწიფო და საჯარო სექტორის სერვის გუნდი, რომელსაც გააჩნია ღრმა ცოდნა და გამოცდილება, სახელწმიფო და საჯარო სექტორის, მათ მულტი დონორული დაფინანსებით მიმდინარე პროექტებისა (მსოფლიო ბანკი, ევრო კომისიას, ა.შ). ჩვენ გუნდს გააჩნია სხვადასხვა სახელწმიფო ორგანიზაციებთან სხავადასხვა დორნეზე ურთიერთობის გამოცდილება:

- საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესება (მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის რეფორმა) ცენტრალურ და ლოკალურ დონეზე.
- ბიზნესს პროცესებისა, პოლიტიკის, სახელმძღვანელოების, დანერგვა.
- რეორგანიზაცია, რესტრუქტურიზაცია, შესაძლებლობების გაზრდა ცვლილებების დანერგვა, უნარების განვითარება.,
- პროექტების მართვა და სამინისტროების მხარდაჭერა სხვადასხვა ინიციატივის თუ სქემის დანერგვაში.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ტრანსფორმაცია, მათ შორის ინსტრუმენტების დანერგვა და განვითარება, ვებ აპლიკაციების დანერგვა.

იუაის უმუშავია დიდ და კომპლექსურ დავალებებზე, მსოფლიოს წამყვან ინსტიტუტებთან და სახელმწიფო ორგანიზაციებთან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, შესაბამისად ფლობს დიდ პროფესიულ, ტექნიკურ ექსპერტიზას და ცოდნას საჯარო სექტორის საჭიროებების შესახებ. იუაის გააჩნია მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფო და საჯარო პრაქტიკა.

EY | Assurance | Tax | Transactions | Advisory

EY-ის შესახებ

EY არის მსოფლიო ლიდერი აუდიტორული, საგადასახადო, ფინანსური გარიგებებისა და საკონსულტაციო მომსახურების სფეროში. ჩვენი საქმის სიღრმისეული ცოდნითა და მომსახურების მაღალი ხარისხით ხელს ვუწყობთ კაპიტალის ბაზრებისა და ეკონომიკის მიმართ ნდობის გაღრმავებას. ჩვენ ვაყალიბებთ ძლიერ ლიდერებს, რომელთა ხელმძღვანელობითაც ყოველთვის ვასრულებს ყველა დაინტერესებული მხარის მიმართ აღებულ ვალდებულებებს. ამით ჩვენ უმნიშვნელოვანესი წვლილი შეგვაქვს საქმიანი გარემოს გაუმჯობესებაში ჩვენი თანამშრომლების, კლიენტებისა და ფართო საზოგადოებისთვის.
კომპანიის სახელწოდება EY აღნიშნავს „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის" წევრი ფირმების გლობალურ გაერთიანებას ან მის ერთ ან ერთზე მეტ წევრ ფირმას, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია. თავად „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედ", გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული გარანტიით შეზღუდული კომპანია, კლიენტებს მომსახურებას არ უწევს. ჩვენი ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ჩვენს ვებგვერდზე ey.com

© 2018 შპს "EY საქართველო"
ყველა უფლება დაცულია.